(2008)

რეზოლუცია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მეჩვიდმეტე ყოველწლიური სესიისა. **შეშფოთება საქართველოში უსაფრთხოების მდგომარეობის გამო**

ასტანა, 2008 წლის 29 ივნისი-3 ივლისი

1. ითვალისწინებს რა არასტაბილურობის გაძლიერებას საქართველოს კონფლიქტურ ზონებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების სეპარატისტულ რეჟიმებთან ოფიციალური კავშირების განმტკიცების შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობის გადაწყვეტილების ფონზე,

2. შეშფოთებულია რა რუსეთის ფედერაციის მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, საქართველოს აფხაზეთის რეგიონში შეიყვანოს დამატებითი სამხედრო პერსონალი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისყოფის ძალების ეგიდით, რომლის შემადგენლობაშიც ჯარს გამოყოფს მხოლოდ რუსეთი,

3. აღიარებს რა, რომ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების მცხოვრებთათვის რუსეთის ფედერაციის პასპორტების გაცემა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ ასეთი პირების უფლების დაცვის შენარჩუნება სამხედრო ძალის გამოყენებით ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას,

4. ვარაუდობს რა, რომ ზემოაღნიშნულ გარემოებას შეუძლია დაამძიმოს ისედაც არამდგრადი მდგომარეობა ამ რეგიონებში და, ვთქვათ, შემთხვევითაც კი, ამ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტის განახლებამდე მიგვიყვანოს,

5. შეშფოთებულია რა იმის შესძლებლობით, რომ შეიარაღებული კონფლიქტის განახლება ამ რეგიონებში გამოიწვევს უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესებას უფრო ფართო, საერთოევროპული მასშტაბით,

6. აღნიშნავს რა, რომ საქართველოს მთავრობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს სთავაზობს ფართო ავტონომიას სუვერენული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში,

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა

7. დაბეჯითებით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებასთან კონტაქტისას თავი შეიკავონ ამ რეგიონებთან რაიმე ისეთი სახით კავშირების დაჭერისაგან, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა საქართველოს სუვერენიტეტს.

8. დაბეჯითებით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, მიჰყვეს ეუთოს სტანდარტებს და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს სხვა წევრ-ქვეყნებთან ურთიერთობაში კონფლიქტების გადაჭრის მიზნით ძალით ან მისი გამოყენების მუქარის მიმართ.

(www.osce.org)

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მუდმივმოქმედი საბჭო. <u>გადაწყვეტილება # 861.</u> სამხედრო მონიტორინგის ოფიცერთა რაოდენობის გაზრდა ეუთო-ს მისიაში, საქართველოში

მუდმივმოქმედი საბჭო,

მოწადინებულია წვლილი შეიტანოს საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულების ექვსი პრინციპის სრულ განხორციელებაში, რისთვისაც ადგენს:

საქართველოში, ეუთოს მისიაში, სამხედრო მონიტორინგის ოფიცერთა რაოდენობა გაიზარდოს ასამდე, სულ მცირე ექვსი კალენდარული თვის განმავლობაში.

სამხედრო მონიტორინგის ოცი ოფიცერი განთავსდეს უშუალოდ სამხრეთ ოსეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე.დანარჩენი დამატებითი ოფიცერი განთავსდება მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ სამხედრო მონიტორინგის ოფიცერთა შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლის

შესახებაც გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ მიიღებს თავმჯდომარე. ეს გადაწყვეტილება ასევე ეხება სამხედრო მონიტორინგის ზემოაღნიშნულ 20 ოფიცერს.
2008 წლის 19 აგვისტო

(http://www.osce.org/search/apachesolr_search/DECISION%20No.%20861/(http://www.osce.org/search/apachesolr_search/DECISION%20No.%20861/ საკუთარი თარგმანი)